2024-2025 | საქართველოს ჩემპიონატი

დუბლები

1. **მონაწილეთა რაოდენობა:** 6

1	**ლელო სარასენს** თბილისი
2	**არესი** ქუთაისი
3	**ხვამლი** თბილისი
4	**ყოჩები** ბოლნისი
5	**ბათუმი** ბათუმი
6	**გორი** გორი

1.0 შეჯიბრში ნებაყოფლობით მონაწილეობენ დიდი 10-ის და პირველი ლიგის კლუბთა დუბლ-შემადგენლობები

1.1 სათამაშო დღეები: ორშაბათი, სამშაბათი

1.2 დუბლების მოთამაშეს შეუზღუდავად შეუძლია თავისივე გუნდთან როტაცია – თამაში ხან იქ და ხანაც აქ, 3 დღიანი [72 საათიანი] ინტერვალის დაცვით. [მაგ: თუ მოთამაშე დიდი 10-ის გუნდში ითამაშებს პარასკევს, დუბლებში თამაში მხოლოდ სამშაბათს შეეძლება]

1.3 დუბლებში დაშვებულია "როტაციული შეცვლები" (შედი-გამოდი), მაქსიმუმ – 12 [წესი 3.34]

1.3.0 გუნდს შეუძლია განაცხადში იყოლიოს 25 მოთამაშე: 15 ძირითადი, 10 სათადარიგო

1.3.1 როტაციის სათვალავში არ შედის:

იძულებითი შეცვლა

1.3.1.1 "სპეციალისტი პირველ'ხაზელის" შესაყვანად სხვა მოთამაშის გაწირვის დროს [წესი 3.19-20]
1.3.1.2 ტვინის შერყევის გამო [წესი 3.24]
1.3.1.3 სისხლდენის გამო [წესი 3.25]

"დროებით შეცვლილი" მოთამაშის დაბრუნება

1.3.1.4 პირველ'ხაზელის სინბინის ამოწურვის შემდეგ [წესი 3.19]
1.3.1.5 სისხლდენის შეჩერების შემდეგ [წესი 3.25]

შეცვლილი მოთამაშის შეყვანა

1.3.1.6 დაშავებული პირველ'ხაზელის ნაცვლად [წესი 3.33.ა]
1.3.1.7 წინა ეპიზოდში "ბინძურად თამაშის" გამო დაშავებულის ნაცვლად [წესი 3.33.დ]

2. გათამაშების სისტემა

2.0 შეჯიბრება ტარდება ორ ეტაპად

2.1 I ეტაპზე **ჯგუფური ეტაპი** გაიმართება მიმოსვლით – ორ წრედ: შინ და გარეთ (10 ტურად)

2.2 ადგილები განაწილდება დაგროვილი ქულებით

2.2.1 თუ ჯგუფურ ეტაპზე ორ ან მეტ გუნდს დაუგროვდა **ტოლი** ქულა, დაწინაურდება ის გუნდი,

ა) რომელმაც დააგროვა მეტი (საცხრილო) ქულა ორ ურთიერთ-შეხვედრაში

ბ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა ექნება ორ ურთიერთ-შეხვედრაში

გ) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ორ ურთიერთ-შეხვედრაში

დ) რომელსაც გატანილი და მიღებული ქულების (ბურთების) უკეთესი სხვაობა ექნება ეტაპის ორ წრეში

ე) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ეტაპის ორ წრეში

ვ) რომელიც ნაკლებ დისციპლინარულ სასჯელს (ჯერ წითელ, მერე ყვითელ ბარათს) მიიღებს ეტაპის ორ წრეში

2.3 ჩემპიონატის II ეტაპზე - **პლეი-ოფში გადის მოწინავე 4 გუნდი**

თამაშები გაიმართება ჯვარედინი სქემით, ორ (2) ტურად

"მასპინძლობს" ნიშნავს "ირჩევს მოედანს"

2.3.1 პირველ ტურში 2 ორ-მატჩა ნახევარ-ფინალური დუელია:

#1 - #4
#2 - #3

2.3.2 თამაშები გაიმართება შინ და გარეთ. პირველ შეხვედრაში მასპინძელია დაბალ ადგილზე (#3 და #4) გასული გუნდი

2.3.3 დუელის გამარჯვებული გამოვლინდება **ორი თამაშის ჯამური ანგარიშით**

გამარჯვებულები გადიან ფინალში, დამარცხებულები III ადგილის ფინალში

ამ მატჩებში ბონუსების დარიცხვა არ ხდება

2.3.4 დუელში ჯამურ ფრეზე გამარჯვებულად გამოცხადდება ის გუნდი:

ა) რომელსაც გატანილი და მიღებული ლელოების უკეთესი სხვაობა ექნება ორ ურთიერთ-შეხვედრაში

ბ) რომელიც ნაკლებ დისციპლინარულ სასჯელს (ჯერ წითელ, მერე ყვითელ ბარათს) მიიღებს ეტაპის ორ წრეში

გ) რომელსაც უკეთესი ადგილი ეჭირა ჯგუფურ ეტაპზე (#1 და #2)

2.4 მეორე ტურში ორი მატჩია – **I და III ადგილების ფინალი** ნეიტრალურ მოედანზე

ნახევარ-ფინალში გამარჯვებული გუნდები ერთმანეთს I ადგილის ფინალში შეხვდებიან

ნახევარ-ფინალში წაგებული გუნდები ერთმანეთს III ადგილის ფინალში შეხვდებიან

2.4.1 ფინალები **ერთ მატჩიანია**

2.4.2 ფინალებში ფრეზე ინიშნება ორი დამატებითი, 10-წუთიანი ტაიმი

2.4.3 თუ გამარჯვებული ამის შემდეგაც ვერ გამოვლინდა, გამარჯვებულად ცხადდება ის გუნდი:

ა) რომელმაც მეტი ლელო გაიტანა ამ მატჩში

ბ) რომელმაც ნაკლები დისციპლინარული სასჯელი (ჯერ წითელი, მერე ყვითელი ბარათი) მიიღო ამ მატჩში

გ) რომელიც მოიგებს მატჩის შემდეგ დანიშნულ შუთაუთს – 5 დარტყმა მიწიდან, 22-მეტრა ხაზზე, სამი ადგილიდან (დანართი #10)

3. სავარაუდო ვადები

2024 წლის აგვისტო – 2025 წლის აპრილი/მაისი

22/08_2024